პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 258 (13074) | სამშაბათი, 3 ნოემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვისათვის! იბრძოლეთ უყაირათობის, გედმეტობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

საოქტომბრო ვახტზე

ვალდებულება განაღდებულია

ქასპი. ოქტომბრის დღესასწაულის წინადღეებში დიდი შრომითი აღმავლობაა თემამის ტუფის საწარმოში. მისი კოლექტივი თავდადებულად იბრძვის იმისათვის, რომ მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდეს 7 ნოემბერს. საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა მან 3 ოქტომბერს შეასრულა, ხოლო დახერხილი ქვის გამოშვების საწარმოო დავალება ითი დღით ადრე, 21 ოქტომბრისათვის განაღდა.

თემამის ტუფის საწარმოს კოლექტივი ახლა ნოემბრის ინგარიშში უშვებს პროდუქციას. მან პირობა დადო წლის ბოლომდე გეგმის ზევით გამოუშვას 4.000 კუბური მეტრი დახერხილი ტუფის ქვა.

გ. მალაციძე.

სრული მეტალურგიული ციკლით

რუსთავი. (საკ. კორ.). რესპუბლიკის სიამაყის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ახალი წარმატება მოიპოვა. 30 ოქტომბრისათვის სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულა თვიური საწარმოო დავალება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველმა მეტალურგებმა ვადამდე შეასრულეს საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ათი თვის გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია დიდძალი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები და სხვა მეტალურგიული პროდუქცია.

ბარმანდელთან შედარებით წელს ქარხანაში 3 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. თვითღირებულების შემცირების გზით შვიდწლედის ეკონომიურ ფონდში მეტალურგებმა 100 ათას მანეთზე მეტი შეიტანეს.

ამჟამად მეტალურგთა მთავარი საზრუნავია ის, რომ ზღვარი დაუდონ წამგებიან მუშაობას და 1965 წელს მთლიანად განაცხადონ უარი სახელმწიფო დოტაციის მიღებაზე.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალმა მეტალურგმა ისახელა თავი. მოწინავე მეტალურგებს შეემატა ახალი სახელები: გ. პაიჭაძე, ვ. წიკლაური, ი. მაგლობაშვილი, ი. დულარიძე, თ. ურთმელიძე და სხვ.

მეცხოველეთა წარმატება

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ვ. გელაშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახალი შრომითი წარმატებებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაშვიდე წლისთავს. მეცხოველეობა სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.300 ცენტნერი მატყლი და ამით წლიური გეგმა გაანაღდეს.

კარგად იმუშავეს დადიანეთის, უკანამხარის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა, რომლებმაც სახელმწიფოს წლიური-გეგმის ზევით მიჰყიდეს დიდძალი მატყლი.

სახელმწიფოსათვის მატყლის მიყიდვა გრძელდება.

წლიური გეგმა შესრულებულია

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს მეორეთმეტე უბნის კოლექტივმა წინასწარ-ლესასწაული დღეებში შეასრულეთ მარგანეცის გამოღების წლიური დავალება. ახლა პროდუქციას მომავალი წლის ანგარიშში ვიძლევით. საგრძნობლად გაჯადდეთ შრომის ნაყოფიერება, ხოლო თვითღირებულების შემცირებით 48.400 მანეთი დავზოგეთ.

წარმატებით შრომობენ მაღაროელები უ. ბარშილაძე, გ. შეყლაშვილი, ქ. იაკობიძე, კ. ნოზაძე და სხვები, რომლებიც სადღესასწაულო ვახტზე დგანან და ქვანახშირის მოპოვების ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

შვიდ ნოემბერს ახალი საწარმოო საჩუქრებით შევხვდებით.

ი. კობახიძე,
ლენინის სახელობის მაღაროს მეთერთმეტე უბნის უფროსი.

სადღესასწაულო სუფრისათვის

...კონვეიერზე მოხდენილად ჩამწკრივებულა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჭურჭელი — ასგრამიანი ბოთლები, მოწნული სურები, პატარა ჭინჭილები...

ასეთ საჩუქრებს უმზადებს საოქტომბროდ რესპუბლიკის მშრომელებს თბილისის სამტრესტის ლიქიორის ქარხნის კოლექტივი.

საწარმოს პროდუქცია კარგად არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. აქ ამზადებენ „ჩაის“, „ვარდის“, „ყავის“ ლიქიორებს და სხვ.

ქარხნის კოლექტივმა, რომელიც საოქტომბრო ვახტზე დგას, წარმატებით შეასრულა ათი თვის საწარმოო დავალება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 591 ათასი მანეთისა გამოუშვა 680 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 3,3 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირა 2,7 პროცენტით, რის შედეგადაც სახელმწიფოს მისცა 53 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ამჟამად ქარხანაში ხალისით შრომობენ ახალი პროდუქციის გამოშვებაზე. ეს არის ლიქიორი „წყაი“ და „გამახალისებელი“, რომლებიც ხასიათდება საუკეთესო გემოთი და არომატით.

ახალი ლიქიორების ავტორია ქარხნის მთავარი ინჟინერ-ტექნოლოგი ა. მაჩაიძე.

ეს შედარებით იაფი და მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ახალი სახის პროდუქცია დაამშვენებს მშრომელთა სადღესასწაულო სუფრას.

ვ. სისაური.

შთამაგონებელი იდეები მხატვრული შემოქმედებისა

1 ნოემბრის მოწინავე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47-ე წლისთავის წინ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხალხს მიმართა მოწოდებით — მიაღწიოს ახალ წარმატებებს პარტიის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებაში, რომელიც დასახეს XX, XXI და XXII ყრილობებმა, სკკპ პროგრამამ. მხატვრულ ინტელიგენციას პარტიამ მოუწოდა იბრძოლოს ლენინურ-პარტიულობისა და ხელოვნების ნაწარმოებთა პარტიულობისა და ხალხურობისათვის, მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის.

წარმართავს რა კომუნიზმის მშენებელ ხალხის კმირულ შემოქმედებას მოღვაწეობას, ხელმძღვანელობს რა ამ მოღვაწეობას, პარტია, ხალხის მებრძოლი ავანგარდი, დაუცხრომელად ზრუნავს ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის აყვავებისათვის, თვითეული ადამიანის პირადი ნიჭის რაც შეიძლება სრულად გამოხატვლინებლად ყველა პირობის შექმნისათვის, ყველა მშრომელთა ესთეტიკური აღზრდისათვის, ხალხში მაღალი მხატვრული გემოვნებისა და კულტურული ჩვევების ფორმირებისათვის.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება მხატვრული შემოქმედების ხალხურობისა და პარტიულობის ურყევ ლენინურ პრინციპებს ემყარება. ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურა და ხელოვნება კომუნიზმის აშენების, ახალი ადამიანის აღზრდის, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლის დიდი საერთო-სახალხო საქმის განუყოფელი ნაწილი გახდა. თავის მოწოდებად საბჭოთა ხელოვანს მიაჩნია პარადაპირი, შეგნებული, ხალისიანი სამსახური ხალხისადმი. თავისი თემების სიმდიდრეს, თავის შთამაგონებელ სახეებს იგი იღებს მებრძოლი ხალხის, მშენებელი ხალხის ცხოვრებაში.

საბჭოთა ხელოვანს შეგნებული აქვს და გრძნობს თავის სისხლხორცეულ ერთიანობას მილიონობით თავის თანამემამულეებთან, რომლებიც ქმნიან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და კულტურას, ყოველდღიურად სჩადიან დეგვმრეულ საქმეებს კაცობრიობის საკეთილდღეო მომავლისა, რომლებიც მსოფლიოს უჩვენებენ ახალი ადამიანის სულიერი სახის სილამაზეს.

კომუნისტური იდეები ჩვენს ქვეყანაში მთელი ხალხის კუთვნილება გახდნენ, კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი სარკეა, რომელშიც ასახულია საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებები. ხელოვანი, რომელიც თავისი შემოქმედებით ერთგულად ემსახურება ხალხს, ამით ინ ნაწარმოებებში, რომლებსაც იგი ქმნის, ახორციელებს ხელოვნების კომუნისტური პარტიულობის ნაყოფიერ პრინციპს.

სწორედ ამ გზაზე შექმნილია და იქმნება საბჭოთა მწერლების, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და კინოს, მუსიკის ოსტატების საუკეთესო ნაწარმოებნი. უწინარეს ყოვლისა სწორედ ამით განისაზღვრება ის მშვენიერი ახალი რამ, რაც საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ თქვეს თანამედროვე კულტურის მხატვრულ განვითარებაში.

ჩვენი დროის ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მთავარ ხაზად პარტიას მიაჩნია ხალხის ცხოვრებასთან კავშირის სულ უფრო მეტად განმტკიცება, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების სიმართლით და მაღალმხატვრულად ასახვა, ახლის, ჭეშმარიტად კომუნისტურის შთაგონებულად და მკაფიოდ წარმოსახვა, ყოველივე იმის მხილება, რაც წინააღმდეგობას უწევს საზოგადოების წინსვლას. პარტია მოუწოდებს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს უფრო მკაფიოდ ასახონ კომუნიზმის მშენებელთა საგმირო საქმეების სიდიადე და სილამაზე, ჩვენს ცხოვრებაში ახალი, კომუნისტური ურთიერთობის გამარჯვება.

ხელოვანის წინაშე გადაშლილია ფართო ასპარეზი პირადი შემოქმედებითი ინიციატივისა და მაღალი ოსტატობის გამოჩენისათვის, შემოქმედებითი ფორმების, სტილებისა და ჟანრების მრავალფეროვნებისათვის. სოციალისტური რეალიზმი "ურთიერთშეგამებულად შეიცავს გაბედულ ნოვატორობას სინამდვილის მხატვრულ ასახვაში და მაოსფლიო კულტურის ყველა პროგრესული ტრადიციის გამოყენებასა და განვითარებას. ასეთი შემოქმედებითი პოზიცია ბადებს ამ იდეალებით შთაგონებულ ხელოვანთა მაღალ მიღწევებსა და შრომას, მან მოიტანა და მოაქვს უხვი ნაყოფი.

ომ წლებში, როცა ჩვენ ვცხოვრობთ, იდეები, რომლებითაც შთაგონებულია ჩვენი ხალხი, მოწინავე ხელოვანისგან მოითხოვენ მაღალ მოკალაქეობრივობას, აქტიურ შემოქმედებით ბრძოლას პარტიისა და ხალხის საქმისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის, ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. შრომის ადამიანთა დასახარაჯავად მშვიდობის, შრომის, თავისუფლების, ყველა ხალხთა თანასწორობის, ძმობისა და ბედნიერებისათვის.

საბჭოთა ხელოვნება როგორც ორგანული ნაწილი კულტურისა, რომელიც კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში ვითარდება, მთელი თავისი შინაარსით მიმართულია ადამიანისადმი, შეიცავს სოციალისტური ჰუმანიზმის ცხოველ სიტყვას, შეურიგებლად ეწინააღმდეგება თანამედროვე კაპიტალიზმის ანტიადამიანურ, უაღრესად რეაქციულ იდეოლოგიას.

ლენინურნაშენავი პროცესები ხდება ამჟამად მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ემზადება რა იმისათვის, რომ ღირსეულად აღნიშნოს დიადი თარიღები — საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდამეთე წლისთავი, ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავი, — მხატვრული ინტელიგენცია მუშაობს დიდი იდეური, საზოგადოებრივი მნიშვნელობის თემებზე, სახეებზე, რომლებიც მოწოდებული არიან მთელი ძალით გადაგვიშალონ სიდიადე ჩვენი რევოლუციური ისტორიისა, ჩვენი გმირული დღეანდელობისა, ნათელი მომავლისა, რომლისკენაც ჩვენი ხალხი მიდის.

ეს ამოცანები საფუძვლად უდევს შემოქმედებითს გეგმებს, განსაზღვრავს ჟურნალების რედაქციებისა და გამომცემლობების, თეატრებისა და კინოსტუდიების, სამხატვრო კავშირების მგეგმავ საქმიანობას, ჩნდება ნაწარმოებები, რომლებიც დამსახურებულად იპყრობენ მკითხველთა, მაყურებელთა, მსმენელთა ფართო წრეების უყურადღებას, იხვეჭენ მათს აღიარებასა და სიყვარულს. იზრდება საბჭოთა ადამიანების მომთხოვნელობაც ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატების მიმართ, მაღლდება შეფასების კრიტერიუმები როგორც იდეური შინაარსისადმი, ისე ოსტატობისადმი. უხეირო ნაწარმოებებს მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. საბჭოთა ხალხი კეთილმოსურნე, მაგრამ სასტიკი მსაჯულია. ყოველივე ეს კანონზომიერად აძლიერებს ხელოვნების პასუხისმგებლობის გრძნობას.

საბჭოთა ხელოვნების იდეალები და მიღწევები სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობენ მთელ მსოფლიოში. ჩვენი ქვეყნის მწერლებთან, ხელოვნების ადამიანებთან ერთიან მწყობრში შრომობს სოციალიზმის ქვეყნების მხატვრული ინტელიგენცია. პროგრესული მწერლები, რომლებიც ღრმად უფიქრდებიან თანამედროვე მსოფლიოს ბედს, თანამედროვე კულტურის პრობლემებს, სულ უფრო ხშირად მიმართავენ კაცობრიობის წინაშე მდგომ აქტუალურ ამოცანებს, სულ უფრო ხშირად ასხამენ ხორცს თავიანთ შემოქმედებითს ჩანაფიქრს რეალისტური ხელოვნების ნაწარმოებებად.

სასახარულოა აღინიშნოს კულტურულ ფასეულობათა სულ უფრო გაფართოებული გაცვლა მოძმე რესპუბლიკებს შორის, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის. რუსი ხალხისა და ყაზახი ხალხის კულტურათა ჭიდრო თანამშრომლობის დემონსტრაცია იყო ეს-ეს არის დამთავრებული დეკადა რუსული ლიტერატურისა და ხელოვნებისა ყაზახეთში. საბჭოთა კინოს კვირეულები გაიმართა ვარშავაში, პარიზში, აფრიკისა და ამერიკის ქვეყნებში. ახლა ასეთი კვირეული დაიწყო ლონდონში.

იტალიაში საპასუხო გასტროლების გასამართავად ჩავიდა დიდი თეატრის საოპერო დასი, რომელიც ამჟამად გამოდის მილანის სახელგანთქმული თეატრის „ლა სკალას“ სცენაზე, თეატრისა, ან ცოტა ხნის წინათ რომ იყო მოსკოვში. პირველმა სპექტაკლებმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

საბჭოთა ხელოვნებასა და ლიტერატურას ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ შორს მიაქვთ სიმართლე საბჭოთა ადამიანზე, მის სულიერ სილამაზეზე, მის სასიცოცხლო იდეალებსა და მისწრაფებებზე. მის საქმეებზე, და ღირსეულად ასრულებენ ჩვენი კულტურის წარგზავნილთა კეთილშობილურ მისიას, ჩვენი კულტურისა, რომელიც გამსჭვალულია ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებით, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებით.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ავსტრიის კომპარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა

31 ოქტომბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ავსტრიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, ავსტრიის კომუნისტური პარტიის მხრივ — ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. ფიურნბერგმა, ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ვ. შარფმა და ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ფ. მურიმ.

შეხვედრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განხილულ იქნა ორივე პარტიისათვის საინტერესო საკითხები. ინფორმაციის გაზიარებამ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ავსტრიის კომუნისტური პარტია ერთგულად იცავენ მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს, რომ ორივე პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის. ორივე პარტია მტკიცედ დგას სკკპ XX ყრილობის, მისი იდეების პოზიციებზე, იდეებისა, რომლებიც დიდად შეაფასა საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ავსტრიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების შეკავშირებისათვის.

დიდი ეროვნული გამარჯვება

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღოს ტიუმენის ოლქის, ყალმუხეთის ასსრ და ჩუვაშეთის ასსრ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმების წარმატებით შესრულება.

ტიუმენის ოლქმა სამშობლოს ბეღლებში შეინახა 28,7 მილიონი ფუთი მარცვალი, 100 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ძირითადი სასურსათო კულტურა—ხორბალი სახელმწიფოს მიეყიდა 22,1 მილიონი ფუთი, ანუ საგეგმო დავალების 111,3 პროცენტი.

21 მილიონ 100 ათასი ფუთი მარცვალი მიჰყიდეს სახელმწიფოს ყალმუხეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რაც 11 მილიონ 100 ათასი ფუთით მეტია, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ჩუვაშეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4 მილიონ 980 ათასი ფუთი მარცვალი, 279 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმითაა გათვალისწინებული. წარმატებით შესრულდა კარტოფილის დამზადების გეგმა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღოცეს აგრეთვე ბრიანსკის ოლქის მშრომელებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და კარტოფილის მიყიდვის გეგმების წარმატებით შესრულება. სამშობლოს ბეღლებში შენახულია 5,8 მილიონი ფუთი მარცვალი, 286 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმითაა გათვალისწინებული. დამზადებულია 360 ათასი ტონა კარტოფილი. (საკდესი).

ᲓᲘᲛᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲘᲛᲘᲜᲓᲔᲔᲒᲘ

დიმელი ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია მაიაკოვსკის რაიონში. ყურძნის უხვი მოსავლით ამაყობენ აქაური კოლმეურნეები. ხილიც ბევრი აქვთ, ბოსტნეულიც.

წელს დიმელებმა სიმინდის კარგი მოსავლითაც ისახელეს თავი. სიხარულით დაპყურებენ თავიანთ ნაამაგარს მოწინავე მესიმინდეები ს. მორჩიაშვილი, ბ. კვეტენაძე და ს. გურგენიძე. თვითეულმა მათგანმა ჰექტარზე 60 ცენტნერზე მეტი სიმინდი მოიყვანა. შესანიშნავი მაჩვენებლებით ხვდებიან დიმელი კოლმეურნეები დიდი ოქტომბრის ორმოცდამეშვიდე წლისთავს.

სურათზე: ს. მორჩიაშვილი (მარცხნივ), ბ. კვეტენაძე და ს. გურგენიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მწყობრში ჩადგა ცენტრალური ჰიდროელექტროსადგური

დუშანბე, 1 ნოემბერი. (**საკდესის კორ.**). დღეს დილადრიან სამრეწველო დენი გამოუშვა ცენტრალური ჰიდროელექტროსადგურის — ვახშის ენერგეტიკული კასკადის შვიდი სადგურიდან ერთ-ერთმა უკანასკნელმა აგრეგატმა. ამ სადგურის ენერგია შეუერთდა სამხრეთ ტაჯიკეთის ერთიან ენერგოსისტემას. მოის მხარის ენერგომშენებლებმა თავიანთი წარმატება მიუძღვნეს დიდი ოქტომბრის 47-ე წლისთავს. ამ კასკადის სისტემის ენერგია საშუალებას მოგვცემს დავაჩქაროთ ვახშის ხეობის შორეული სოფლის რაიონების ელექტრიფიკაცია, აგრეთვე ავამრჭეველოთ ახალი სატუმბი სადგურები, რომელთა საშუალებითაც მოირწყვება რესპუბლიკის სამხრეთის ყამირი მიწები.

მთიან ტაჯიკეთს სამრეწველოდ უწოდებენ ენერგეტიკულ ახალშენებლობათა მხარეს. უკანასკნელ წლების მანძილზე აქ აშენდა ჰიდროელექტრული და თბოელექტროსადგურები, რომლებიც უდიდესია შუა აზიაში. მათი სიმძლავრე 0,5 მილიონი კილოვატია წელიწადში.

ოთხი წლის წინათ ტაჯიკეთში დაიწყო ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც უდიდესია საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში. სწორედ ერთი წლის შემდეგ, 1965 წლის ოქტომბერში, განზრახულია ვადაზიდოს ბობოკარი ვახში. ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებით, რესპუბლიკა შუა აზიის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობას მისცემს დაახლოებით 25 მილიარდ კილოვატ საათ იაფ ელექტროენერგიას.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲗᲑᲝᲑᲘ

მოსკოვი, 2 ნოემბერი. (საკუთრივ კორ.). **საბჭოთა კავშირი** 40 წელზე მეტი ხნით უზრუნველყოფილია დაზვერილი გაზის მარაგით, აცნობებს საკავშირო კორესპონდენტს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოში. „ცისფერი სათბობის“ პოტენციური რესურსები ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად უსაზღვროა. მარაგი იზომება ასტრონომიული ციფრით — 60 ტრილიონი კუბური მეტრი. ეს ერთი ორად აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგიურ მარაგს.

უკანასკნელ წლებში სსრ კავშირში აღმოჩენილია 250-ზე მეტი გაზის საბადო. მათი განლაგების გეოგრაფია მრავალფეროვანია: სტავროპოლის მხარე და დასავლეთი ყაზახეთი, ხარკოვის მხარე და უზბეკეთი, თურქმენეთი და ვოლგისპირეთი.

უკვე წარმოებს მეტი წილი ამ საბადოების ამუშავება.

საბჭოთა კავშირში დიდი მასშტაბით წარმოებს გაზსადენების მშენებლობა. ახლა მათი საერთო სიგრძე შეადგენს 80 ათასზე მეტ კილომეტრს. ამ გაზსადენებმა იაფი სათბობით უზრუნველყოფეს სამრეწველო საწარმოები, საცხოვრებელი სახლები. ამჟამად გაზიფიცირებულია 1.600 ქალაქი და დასახლებული პუნქტი.

„ᲐᲕᲠᲝᲠᲐ“ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲜᲔᲕᲐᲖᲔ

ლენინგრადი, 2 ნოემბერი. (საკდესი). „ავრორა“ დადის ნევაზე!. ასეთ შეძახილებს გაიგონებდით გუშინ გრანიტის სანაპიროებზე. ათიათასობით ლენინგრადელი და ქალაქის სტუმარი იყო არაჩვეულებრივი სანახაობის მოწმე: დღისით რიგრიგობით იხსნებოდა ხიდები, რათა გაეტარებინათ რევოლუციის ლეგენდარული ხომალდი. ძძლავრმა ბუქსირებმა მიიყვანეს „ავრორა“ იმ ისტორიულ ადგილას ლეიტენანტ შმიდტის ხიდს ექით, საიდანაც 47 წლის წინათ, 1917 წლის 24 ოქტომბერს ღამით დაიქუხა ქვემეხმა, რაც ზამთრის სასახლის შტურმის სიგნალი იყო. ეს — „ლენინიანა“ ახალ სუბრათს იღებს.

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲒᲝᲠᲣᲚᲘ ᲮᲘᲚᲘ

ბარაქიანი შემოდგომაა ქართლში. ტირიფონის და მდინარე ლიახვის ორთავე მხარეს გაშლილ ბაღებში ხილის საამო სურნელი ტრიალებს. მოიკრიფა შაფრანი, კანადური რენეტი, ლაზბერგი, ბანანი, ბელფლორი, სინაპი, მწიფს შამპანური რენეტი, კეხურა...

გორელ მეხილეებს ცხარე მუშაობის დღეები დაუდგათ.

ვაშლის კრეფაა გაჩაღებული კარალეთის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მსხმოიარე ბაღებს 160 ჰექტარი უჭირავს. ვაშლის კრეფას მეურნეობაში ერთ-ერთი პირველი შეუდგა მეოთხე ბრიგადა, რომელსაც ს. შაყულაშვილი ხელმძღვანელობს. მკრეფავები ნ. ხარიძეგაშვილი, ს. სუხიტაშვილი ვაშლის კრეფის ყოველდღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებენ. გეგმით გათვალისწინებული 306 კილოგრამის ნაცვლად 400-500 კილოგრამს კრეფს თვითეული. ამ ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა მოსავლიანობის გეგმა.

„ხევისპირის“ ბაღები მეურნეობის მერვე ბრიგადას (ხელმძღვანელი ს. გოგიაშვილი) ეკუთვნის. ნაყოფით დახუნძლული ტოტები ლამის ჩამოიმტვრეს. ამ ბრიგადამ მეურნეობაში ვაშლის ყველაზე მაღალი მოსავალი მიიღო. ჰექტარზე საშუალოდ მოვკრეფთ 85 ცენტნერ ვაშლს! — ასეთი იყო ამ ბრიგადის წევრთა სოციალისტური ვალდებულება. მოკრეფილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათ ეს ვალდებულება შეასრულეს.

მეურნეობის დირექტორმა მ. ჯაშაშვილმა განაცხადა, რომ წელს საერთოდ ხილის მოსავალი კარგია. გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა და ვალდებულებით ნაკისრი 70 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ ვიღებთ 75 ცენტნერ ხილსო.

ხილის კარგი მოსავალი აქვთ აგრეთვე მეცხრე და მესამე ბრიგადებს (ხელმძღვანელები გ. ჭალიძე და ვ. ბაზანდარაშვილი). ეს ბრიგადები ჰექტარზე საშუალოდ 75-80 ცენტნერ ვაშლს კრეფენ.

ხილის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა კარგად მიდის ქარელის კოლმეურნეობაში. აქ ჰექტარზე კრეფენ 100 ცენტნერ ვაშლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერისა.

გორის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხილის კრეფა მასობრივად გაჩაღდა.

რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორამ გადამეტებით შეასრულა კურკოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმა. შესყიდულია 6.415 ტონა კურკოვანი ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.700 ტონისა.

წელს ქვეშეომა კოლმეურნეებმა ხილის უხვი მოსავალი მიიღეს. ნაცვლად 50 ცენტნერისა ჰექტარზე მიიღეს 55 ცენტნერი ვაშლი. ბრიგადამ, რომელსაც ცნობილი მეხილე მ. რჩეულიშვილი ხელმძღვანელობს, 12 ჰექტარი ბაღიდან 600 ცენტნერის ნაცვლად 960 ცენტნერი ვაშლი მიიღო. ჰექტარზე 80 ცენტნერი ვაშლი — ასეთია რჩეულიშვილის საოქტომბრო ბატაკი. პირადად ბრიგადირმა 1 ჰექტარზე 540 ცენტნერი ვაშლი მიიღო.

სახელმწიფოს დიდძალ ხილს აბარებენ კოლმეურნეები. მერეთელმა კოლმეურნეებმა ი. გიორგაშვილმა საკარმიდამო ბაღიდან სახელმწიფოს 1.700 კილოგრამი ხილი მიჰყიდა, გ. გუგუტიშვილმა — 1.200 კილოგრამი, ბებინისელმა ს. იმერელიშვილმა — 3.723 კილოგრამი. ასეთი მაგალითები ბევრია.

ინებეთ გორული ხილი, მშრომელი კაცის სუფრის დამამშვენებელი, — ამბობენ აქაური მეხილეები.

მ. ხეთაგური.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშირის ორდენები და მედლები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ და საპატიო სიგელები გადაეცათ პარტიულ, საბჭოთა მუშაკებს, მეცნიერებს, ექიმებს, ხელოვნების მოღვაწეებს, მასწავლებლებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს, მეღვინეებს, სამხედრო მოსამსახურეებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. ა. კვაჭაძემ** წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **მ. მ. ლელაშვილმა** შრომის წითელი დროშის ორდენები გადასცა თვალსაჩინო მეცნიერ-მედიკს, პროფესორ **ა. მ. სარაჯიშვილსა** და ქრონიკალურ-დოკუმენტური სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის კინოოპერატორ-ოპერატორს **გ. ი. ასათიანს.**

სამხედრო მოსამსახურეებს **ა. ა. გოვორუხას, ვ. მ. ულტიაკოვს, ბ. ვ. კახაკენს, ა. ვ. მანკოს, ა. ი. რუმიანცევსა** და **ბ. ბ. ჩუხლებას** გადაეცათ მედლები „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“.

სიგელი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის სახელო საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ **ა. ა. ძიძიგურს.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ლ. ე. გორგილაძემ** მიიღო სიგელი საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

რესპუბლიკის

ბოლშევიკური ჯალაბის ჯიბეებიდან!

ჯაჭვულ-სახელმწიფო კონტროლის ბიულეტენი №16

ამ გვერდზე წაიკითხავთ:

ასე ეხმაურებიან საგარეჯოელებს გულრიფშელები

მაღაროელი ახალგაზრდების ფხიზელი თვალი

მოახლოებული ზამთარი და სახალხო კონტროლიორთა თადარიგი

მშრომელთა შენიშვნები, წინადადებები, მოსაზრებანი...

ბალხის ინიციატივის ძალა

ჩვენს ქვეყანაში ფართო გახლავნი მიეცა ბელების შრომას. რაც დრო გადის, ცხოვრება მით უფრო საინტერესო და ბედნიერი ხდება. თუ უწინ ბელებს საცალფეხო ბილიკი ენახერებოდა, ახლა შარაგზასაც არ სჭერდება და მოსფალტებულ გზას მოითხოვს. ყოველთვიურად ახალი სამანქანო, კეთილმოწყობილი გზები კეთდება რაიონში. რელიეფური მდგომარეობა ძნელს ხდის შარაგზების გაყვანას; მაგრამ იქ, სადაც სურვილი და მონდომებაა, რა აღუდგება წინ.

ჩვენი რაიონის მოსახლეობა ფართოდ გამოეხმაურა საგარეჯოს რაიონის მშრომელთა თათხნობას და ერთსულოვნად გადაწყვიტა კარგად მოაწყოს თავისი სოფლები, შეაკეთოს ძველი და გაიყვანოს ახალი გზები.

საგარეჯოელთა თათხნობა სპეციალურად განვიხილეთ რაიონული სბჭოს აღმასკომის სხდომაზე. გადავხედეთ ჩვენს შესაძლებლობებს, დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი სოფლების უფრო კულტურულად მოწყობისათვის. რაიონში არ დარჩენილა სასოფლო სბჭო, რომელსაც არ განეხილოს და პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგას საგარეჯოელთა მოწოდების სასასუხოდ.

დღითადღე კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი სოფლების ცენტრები. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სამანქანო გზებით, რომელთა დროულ შეკეთებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სასოფლო სბჭოების საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიები სისტემატურ დახმარებასა და კონტროლს უწევენ კოლმეურნეობათა საგზაო ბრიგადების მუშაობას. მოსახლეობა თავისი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გასწვრივ გზის განპირას რგავს და ახარებს მარადმწვანე, წიწვოვან და ფოთლოვან ხეებს.

ამ მხრივ შესანიშნავი თათხნობა გამოიჩინეს სოფელ გუმისთის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. ეს სოფელი ახალდასახლებულია. გეგმაინ, მწვანეში ჩამჯდარ ოდასახლეს კიდევ უფრო ალამაზებს წიწვოვანი ხეივანი, რომელიც ცენტრალურ გზატკეცილს ორივე მხარეზე გასდევს. კოლმეურნეთა მიზანია გაალამაზონ და კეთილმოწყობილი გახადონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებიც. გზების გაყვანასა და კეთილმოწყობაზე სისტემატურად ზრუნავს არტელის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი შ. თოდუა.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კეთილმოსაწყობად ბევრი რამ გაკეთდა სოფელ ვლადიმიროვკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ 5 კილომეტრზე მოასფალტებულ იქნა გზა, რომლის ორივე მხარეს დარგულია თუთის ხეები. ისინი მეაბრეშუმეობისათვის კარგი საჩრდილებელია, გარდა ამისა მეაბრეშუმეობისათვის ქმნის საკვების საჭირო ბაზას.

მარტო მიმდინარე წლის 9 თვეში კაპიტალურად შეკეთდა რაიონის ადგილობრივი მნიშვნელობის 50 კილომეტრი გზა. აქედან 35 კილომეტრი კოლმეურნეთა ძალებით იქნა შეკეთებული. მოასფალტებულია 10 კილომეტრი გზა.

წებელდიდან აზანთამდე 13 კილომეტრია. არსებული გზა მანქანებისათვის თითქმის გაუვალი გახდა. სასოფლო საბჭომ და კოლმეურნეობის გამგეობამ შეიმუშავეს ამ გზის კეთილმოწყობის გეგმა. სამუშაოს დაპროექტებაში და ტრანსპორტით მათ დიდი დახმარება გაუწია რაიაღმასკომის საგზაო განყოფილებამ. საქმის გაძღოლა თვით წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ რ. ჩაკვეტაძემ ითავა. სამუშაოზე გამოვიდა დიდი და პატარა. გაჩაღდა შეჯიბრება, ვინ უფრო ადრე და უკეთ მორჩებოდა საქმეს. 20 დღეში კაპიტალურად შეკეთდა გზა, წესრიგში მოიყვანეს ხიდები.

ბალხის ინიციატივის ძალა

კარგად მუშაობს სოფელ ბესლეთის კოლმეურნეობის საგზაო ბრიგადა, რომელსაც მოწინავე კოლმეურნე ვ. კალენჯიანი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის წევრებმა 3,5 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზა მოამზადეს მოსასფალტებლად, 5 ადგილას ჩადეს 6-6 მეტრიანი რკინაბეტონის მილები.

ცენტრალურ გზას სოფელ გულრიფშის კოლმეურნეობა „ერასნი ოკტიაბრი" 7 კილომეტრით არის დაშორებული. 4 კილომეტრი მანძილი კი სავალალო მდგომარეობაში იყო. ავდარში შეუძლებელი ხდებოდა მანქანების გადასვლა. კოლმეურნეობის გამგეობის დახმარებით საგზაო ბრიგადამ მ. მანუკიანის ხელმძღვანელობით დაიწყო გზის კეთილმოწყობა. მთლიანად დამთავრდა მიწის სამუშაოები, წყალსაწრეტი ორმოების გაყვანა. ამჟამად დასასრულს უახლოვდება ხრეშის მოყრა.

გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობას სოფელ ვარჩიში 2,5 კილომეტრ მანძილზე გაეყვანა მოასფალტებული გზა, რომელიც ნოემბერში გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ბაბუშერის დასახელებელ სახლსა და კოლმეურნეობა „საქართველოს" კოლექტიურად გაჰყავთ 5 კილომეტრ მანძილზე ასეთივე ტიპის გზა.

დიდი უურადღება ექცევა გადასასვლელი ხიდების შენებლობასა და კაპიტალურ შეკეთებას. ქვემო ეშერში მდინარე იუდორთაზე აღდგენილია რკინაბეტონის ხიდი. რომლის სავალი ნაწილი ხის ნაცვლად ლითონით შეიცვალა. სოფელ მერხეულის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობამ კი მდინარე მაჭარაზე ააგო 6-მეტრიანი რკინაბეტონის ხიდი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ზოგიერთი სასოფლო სბჭო და კოლმეურნეობა სათანადო უურადღებას როდი აქცევს იმას, რომ წესრიგში იქონიოს გზები და ხიდები. სისტემატური ექსპლოატაციის შედეგად გზა ხშირად ფუჭდება. ოდნავ გაფუჭებულ ადგილს მაშინვე უნდა შეკეთება, მაგრამ ზოგიერთი ხელმძღვანელი ამას ივიწყებს.

ქალაქისა და სოფლის ერთ-ერთი დამაკავშირებელია სამანქანო გზა, და იგი მუდამ წესრიგში უნდა გვქონდეს. ასეთივე დიდ მნიშვნელობას ვაქცევთ შიდასაკოლმეურნეო გზების კეთილმოწყობას. ბალხის ცხოვრებაში მტკიცედ შევიდა მანქანა. საკოლმეურნეო დოვლათის გატანა მინდვრებიდან და დაბინავება უმანქანოდ წარმოუდგენელია. რაც უფრო კეთილმოწყობილი გზები გვექნება, მით უფრო ადრე დავაბინავებთ ჭირნახულს. მეტი იქნება მანქანებისა და მათი საბურავების გამძლეობაც. ყოველივე ამას დროულად ითვალისწინებენ სასოფლო სბჭოები და კოლმეურნეობები.

10 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კეთილმოწყობის მიზნით ტარდება გზის ერთთვიური. ყველა იმ სამუშაოთა დასახელება, თუ სად რა გაკეთდება ამ პერიოდში, შორს წაგვიყვანდა. საკმარისია თქვას, რომ ერთთვიურის დროს რაიონის 81,8 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზა შეკეთდება, რისთვისაც გავიწიეთ 117 ათას გრძივ მეტრ კიუვეტს, მივზიდავთ 4.290 კუბურ მეტრ ინერტულ მასალას. ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა 8.800 კაცდღე, 340 ურემი და 480 ავტოდღე. რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილებამ შეიმუშავა ერთთვიურის გეგმა. ეს გეგმა აღმასკომის სხდომაზე განვიხილეთ. სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს გავუგზავნეთ დამტკიცებული გეგმა. გამოვყავით რაიონული სბჭოს დეპუტატები, რომელებსაც დაეკვალთ ერთთვიურის ორგანიზებულად მოწყობა.

ამჟამად ჩვენი გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ გზის ერთთვიურში ჩავაბათ ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაცია, ყველა მშრომელი და მოფიქრებულად შედგენილი გეგმა წარმატებით დავაგვირგვინოთ. უზრუნველვყოთ გზების კეთილმოწყობა და მანქანების შეუფერხებელი მოძრაობა.

ჟ. ცაცუა,

გულრიფშის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

მოუარე და დაამშვენე შენი სოფელი, კარ-მიდამო

„კომკავშირული პროექტორის" შუქზე

ჰიათურელი ახალგაზრდა კონტროლიორების გამოცდილებიდან

„შავი ოქროს" ქალაქის რომელ უბანს არ სწვდება „კომკავშირული პროექტორის" შუქი! მარგანეცის გამოღების გადიდება, მისი ხარისხის ამაღლება, თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ახალი ტექნიკის დანერგვა — აი ის სბრძოლო ამოცანები, რომელთა განხორციელებისათვის აქტიურად იბრძვიან ჰიათურელი პროექტორისტები.

რა ფორმებსა და ხერხებს არ იყენებენ თავიანთ მუშაობაში ქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციებთან შექმნილი „კომკავშირული პროექტორის" რაზმები, ჯგუფები და საგუშაგოები! ისინი აწყობენ რეიდებს, მსჯელობენ კრებებზე, კომიტეტის სხდომებზე და ამხანაგურ სასამართლოში, ფართოდ იყენებენ ძირეულ და სატირულ-იუმორისტულ პრესას.

ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა ზოგიერთი უბნის მემანქანეები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ სანგრეებში და ღია კარიერებზე მარგანეცის პირველადს გამდიდრებას, ვაგონებს ტვირთავდნენ ფუჭი ქანით, დიდი ლოდებით. ეს სცენდა მარგანეცის ხარისხს, ნაადრევად გამოჰყავდა მწყობრიდან მექანიზმები; იხარჯებოდა ძვირადღირებული მასალები და სათადარიგო ნაწილები. ამ ხარვეზებისა და უყაირათობის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა ადმინისტრაციას, ამასთან შეიქმნა საგუშაგოები, რომლებიც კონტროლს უწევდნენ თითქმის ყველა ვაგონს. ლენინის სახელობის მაღაროში სამგრი მასალის გადანაწილება შუამდე იკეთდოდა. პროექტორისტების წინადადებით მათ ნაწილს ახლა რკინიგზის განძელებად იყენებენ. ამან მაღაროს ასობით მანეთი ეკონომია მისცა.

კალინინის სახელობის მაღაროს პირველ და მეორე უბნებში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მექანიზმების მოვლას; აქ მიწაში იყო ჩაფლული ჯალამბრები, ამწეზიდებს ხელით უხდებოდათ ვაგონების გაგორება. დიმიტროვის სახელობის მაღაროს პროექტორისტებმა შეამჩნიეს, რომ ეს ტაკადაზე უმოქმედოდ იდგა ვაგონები (რომელთა უმრავლესობა შეკეთების შემდეგ კვლავ გამოდგებოდა ექსპლოატაციისათვის), იმ დროს როცა უბნებს ვაგონები აკლდათ. მეოთხე უბანში დაზიანებული იყო ელექტროსადენი, ბულდოზერი და სატვირთო მანქანა, ცდებოდა მუშაობელი, ფერხდებოდა გეგმების შესრულება.

მაღარო „ახალი ითხვისის" ცენტრალური გვირაბის წინ უმატრონოდ იყო მიტოვებული მძლავრი ვენტილატორის ელექტროძრავი, რომელიც ღია ცის ქვეშ ფუჭდებოდა და იძარცვებოდა. ცენტრალური განიავების სივენტილაციო შენობის სახურავიდან ჩამოსული წყალი მაღალი ძაბვის დანადგარებს ასველებდა, რაც ავარიისა და მარცხის საშიროებას ქმნიდა. ყველა ამის გამო პროექტორისტებმა განგაში ატეხეს. ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომების შედეგად მალე მდგომარეობა გამოსწორდა.

ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის „კომკავშირული პროექტორის" რაზმის წევრებმა შეამჩნიეს, რომ საწარმოში შემოსული ვაგონების გაცლისას მათში დიდი რაოდენობით რჩებოდა მარგანეცი, რის გამო იგი რამდენჯერმე იღებდა მონაწილეობას აწონაში (ე. ი. ხდებოდა ნედლეულის მიწერა ფაბრიკაზე). ეს ფაქტი დაუყოვნებლივ ეცნობა ფაბრიკის ადმინისტრაციას და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფს. ამჟამად ასეთ შემთხვევებს ადგილი აღარ აქვს.

ლენინისა და კალინინის სახელობის, პეროვსკის მაღაროების კომკავშირულ ორგანიზაციებთან შექმნილი კომკავშირული პროექტორის რაზმები და საგუშაგოები ულმობლად ამხილებენ ყველას, ვინც სისტემატურად არღვევს შრომის დისციპლინას, უსაშინრობის წესებს, ლოთობს, უდიერად ეპყრობა და ხელყოფს სახალხო ქონებას. მათ შესახებ ხშირად მსჯელობენ კრებებზე, კომიტეტის სხდომებზე და ამხანაგურ სასამართლოში, აქვეყნებენ მასალებს სატირულ-იუმორისტულ და კედლის გაზეთებში.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კომკავშირული პროექტორის საქალაქო შტაბის მიერ გაგზავნილ სიგნალებს სათანადოდ ეხმაურებიან უმრავლესი ორგანიზაციები, რომლებიც დადებთად წყვეტენ ამა თუ იმ საკითხს. მაგრამ ცალკეული გამონაკლისები რომ არის, ამას ერთი ასეთი ფაქტიც ამტკიცებს. გასული წლის ივნისში საქალაქო შტაბმა განგაშის ფურცელი გაუგზავნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგებისა და გასაღების მთავარ სამმართველოს იმის შესახებ, რომ ჰიათურის მარგანეცის ტრესტის მოწყობილობის განყოფილების საწყობში ინახება 1.580 მანეთის საერთო ღირებულების 25 ტრანსფორმატორი. ეს ტრანსფორმატორები ტრესტს არ ესაჭიროება, რის შესახებ მან რამდენჯერმე აცნობა სამმართველოს ჯერ კიდევ მთ მიღებამდე.

მართალია, ჩვენს განგაშზე გეიპასუხეს, მაგრამ ძაბვის ტრანსფორმატორები უკვე ორი წელია მოწყობილობის საწყობში ინახება, ხოლო ახალი ობიექტებისათვის ისინი ალბათ კვლავ მოსკოვიდან შემოაქვთ.

„კომკავშირული პროექტორის" საქალაქო შტაბს კავშირი აქვს დამყარებული მოწყობილობის მომწოდებელ ორგანიზაციებთან, ხარკოვის, ბაკოს, სვერდლოვსკისა და სხვა ქალაქების კომკავშირული ორგანიზაციები, „კომკავშირული პროექტორის" რაზმები და შტაბები, რომლებსაც ჩვენ დახმარებისათვის მივმართეთ, გულისხმიერებას იჩენენ და დროზე გვიგზავნიან დამკერელი კომკავშირული მშენებლობისათვის განკუთვნილ მოწყობილობას.

ვაგონების გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების მეტად დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებთან ერთად თავიდანვე აქტიურად ჩაებნენ „კომკავშირული პროექტორის" რაზმები და საგუშაგოები. დათვალიერების პირველმა დღეებმა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გამოავლინა: რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე დიდძალი ტვირთები ჰქონდათ მარგანეცისა და მარგანმშენის ტრესტებს, ზოგჯერ ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა ვაგონების დროზე დამუშავებას და დასაცლელ ბაზებში მათ დროულად ჩაყენებას. ტვირთების მიმღები ორგანიზაციები აჭიანურებდნენ ვაგონების დაცლას, ჩახერგილი იყო ჩიხები, რკინიგზა ორი ორთქლმავლით ვერ აუდიოდა ვაგონების დროზე დამუშავებასა და მიწოდებას, ხოლო ამ დროს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ერთი ორთქლმავალი და სამი თბომავალი სხვადასხვა მიზეზების გამო უქმად იდგა ჩიხებში.

დიდი იყო ვაგონების მოცდენა. ვაგონების გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერების კომისიამ, რომლის სხდომები სისტემატურად, საჭიროების მიხედვით იმართება რკინიგზის ჭიათურის სადგურში და რომლის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომკავშირული პროექტორისტები, ქმედითი ღონისძიებები განხორციელა ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისა და სარკინიგზო შემადგენლობის მოცდენის აღსაკვეთად. უკანასკნელ თვეებში რკინიგზის ჭიათურის სადგურში საგრძნობლად შემცირდა ვაგონების საერთო მოცდენა გეგმასთან შედარებით.

ვაგონების მოცდენას ხელს უწყობს ისიც, რომ რკინიგზის სადგურში მოეწყობელია სასაწყობო მეურნეობა, არ არის ვაგონების შეკინიზებული სამრეცხაო, ვაგონების გარეცხვა ძველ პრიმიტიულად წარმოებს, რაზეც დიდი დრო იხარჯება. ხელი ტეპპით მიმდინარეობს საკონტეინერო ბაქნის მშენებლობა, რომელსაც ამერიკეკანასეის რკინიგზის სამტრედიის განყოფილება აწარმოებს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ „კომკავშირული პროექტორის" საქალაქო შტაბს, რაზმებსა და საგუშაგოებს ჯერ კიდევ აქვთ ნაკლოვანებები. ცუდად მუშაობენ სამშენებლო ორგანიზაციათა პროექტორისტები, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს.

„კომკავშირული პროექტორის" საქალაქო შტაბი კვლავ იბრძოლებს იმისათვის, რომ ამ პროექტორის შუქი ყველგან მძლავრად ანათებდეს.

ლ. რუსეიკი,

საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე მდივანი, „კომკავშირული პროექტორის" შტაბის უფროსი.

ახალხო კონტროლიორები

ახალხო კონტროლიორები სულ უფრო აქტიურად იჭრებიან საწარმოო ცხოვრებაში. ისინი ყოველდღიურად ზრუნავენ პროდუქციის გამოშვების გადიდების, მისი ხარისხის ამაღლების, თვითღირებულების შემცირების, ნედლეულისა და მასალების ეკონომიისათვის.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტის შ. ჩხეტიანის მიერ გადაღებულ ამ სურათებზე აღბეჭდილია სახალხო კონტროლიორთა მოდაწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი — საქარხნო მარკის ღირსებისათვის ბრძოლა.

მარცხენა სურათზე ხედავთ თბილისის რძის კომბინატის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარეს ტ. ცერცვაძეს, ჯგუფის წევრებს — საამბარატო საამქროს ოსტატს ა. საყვარელიძეს და მუშა მ. კერესელიძეს დაფასოებული ხაჭოს წონის შემოწმების დროს. მარჯვენა სურათზე კი — თბილისის საიარაღო ქარხნის სახალხო კონტროლიორებს (მარჯვნიდან) — ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარეს ლ. მიქაელიანს, ჯგუფის წევრებს ინუნერ ო. ჩხაიძეს და ხარატ ვ. გოლოვნიკოვს, რომლებიც ამოწმებენ ხრახნმჭრელების ხარისხს.

ბოლოგით მოუგვარებელი საქმე

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე მეშახტეთა ბევრი ოჯახი ცხოვრობს. მათ განკარგულებაშია მომსახურების ისეთი ობიექტები, როგორიც არის საბარიკმახერო, სამკერავლო, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო და სხვ.

მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ქალაქის ხელმძღვანელობამ ვერ მოაგვარა საზოგადო სარგებლობის ობანოს მშენებლობის საკითხი. ქალაქის ორი ობანო, რომლებიც შახტის ტერიტორიიდან დიდი მანძილით არის დაშორებული, სრულებით ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

მ. ზვიადაძე,
ვ. ბასილაძე,
მ. ციბერკიძე.

ამ ზამთარს მაინც არაფერი გვეშველება?

მხარს ვუჭერთ კონტროლიორთა თაობნოგას

უხვი საკვები, საუკეთესო მოვლა

გულდასმით განვიხილეთ სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარის შ. მურვანიძის წერილი, რომელიც ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა. ამ წერილმა ერთხელ კიდევ ჩაგვაფიქრა: რა შეგვიძლია ჩვენ, სახალხო კონტროლიორებს, გავაკეთოთ, რომ სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი.

წელს ჩვენ საუკეთესოდ ვემზადებით პირუტყვის გამოზამთრებისათვის. დამზადებული გვაქვს 2.000 ტონაზე მეტი ბალახი. საკვები. შეგვიძლია საკვებით სხვებსაც დავეხმაროთ. ჩადებული გვაქვს ასობით ტონა საუკეთესო ხარისხის სილოსი. ყინლარის ზამთრის საძოვრებზე ბინებთან მიტანილია 4.000-ზე მეტი ცენტნერი თივა, საკმარისი რაოდენობით გვაქვს ფურაჟი.

ახლა ჩვენთვის მთავარია დავაწესოთ მკაცრი კონტროლი, რომ საკვები იხარჯებოდეს ეონიერულად და თავის დროზე ეძლეოდეს პირუტყვს. ვიცავდეთ რაციონს, არ დავუშვათ საკვების განიავება, მატერიალურად დავპინტერესოთ ფერმის მუშაკები, რომ თვითეული მთგანი საკვების ხარჯვაში იჩენდეს მომეჩინრეობას. თანმიმდევრული კონტროლის განხორციელებისათვის ჩვენ უკვე შევიმუშავეთ კონკრეტული გეგმა. როგორც მსხვილფეხა რქოსნი პირუტყვის ფერმაში, ასევე მეცხვარეობის ბრიგადაში დადგენილებით შევეკვნინთ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი საგუშაგოები.

ჩვენთან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბოსლების დაობუნება, ნოღადს ველზე კარგა ხანია დავამთავრეთ ცხვრის ბინებისა და მწყემსთა საცხოვრებელი სახლების რემონტი. ახლა კოლმეურნეობაში ყველა პირობაა იმისათვის, რომ პირუტყვი ჯანმრთელობა ზამთრით ნორმალურად და მთლიანად შევინარჩუნოთ სულადობა.

ოლღა კოხტაშვილი,

ლუშეთის საწარმოო სამმართველოს ბაზალეთის კოლმეურნეობის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე.

ჯაჭვის ეფექტი

ბალხელ ბიბლიოფილთა ინტერესებზე

ბალხელ ბიბლიოფილთა ინტერესებზე ბევრ ადგილობრივ ორგანიზაციას ზრუნავენ. ეს ზრუნვა ზოგჯერ ასეთ ფორმებს ღებულობს: ბალხელ ბიბლიოფილთა ინტერესებზე ზრუნავენ

საერთაშორისო
დეკემბერი, ცხრაკარი, ვიეტნამელები
ცხოვრება

უცხოეთის ამბები

დღეები და მოვლენები

საგჭოთა წიგნის დეკადა

სოფია. სტარა-ზაგორში გაიხსნა საბჭოთა წიგნის დეკადა ბულგარეთში. დეკადის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ თვალსაჩინო ბულგარელი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, მშრომელთა წარმომადგენლები.

კულტურისა და ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი რაიკოვმა გახსნა საბჭოთა წიგნის გამოფენა და განაცხადა, რომ მარტო 1963 წელს ბულგარეთში გავრცელდა ცამეტი ათასზე მეტი სახელწოდების საბჭოთა წიგნი,

მუშავიდობის საქმისათვის

ბერლინი. აქ დამთავრდა სამეცნიერო კოლოკვიუმი, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ევროპის უშიშროებისა და დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის დარგში კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სამეცნიერო დაწესებულებათა მუდმივმა კომისიამ მოაწყო. მეთოთხეულედ ცხრებდა უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

ძირითადი მოხსენება გააკეთა თანამედროვე ისტორიის ინსტიტუტის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) დირექტორმა პროფესორმა დერნბერგმა. მან ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთ გერმანიის მისწრაფება, „მოიპოვოს ატომური იარაღი, საფრთხეს უქმნის ევროპის უშიშროებას.

თანამოხსენებნები გააკეთეს სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

კოლოკვიუმმა გამოავლინა აზრთა ერთობა იმ საკითხებზე, რომ გერმანიის რევანშიზმი საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

სოციალისტური ქვეყნებში

ოქტომბრის ფესტივალისადმი

პრაღა. დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ ორი მსოფლიო რეკორდი— ქვანახშირის ამოღებისა და შტრეკების გაყვანის რეკორდები დაამყარეს ჩეხოსლოვაკიელმა მეშახტეებმა.

საგზაო წიგნის დეკადა

სოფია. სტარა-ზაგორში გაიხსნა საბჭოთა წიგნის დეკადა ბულგარეთში. დეკადის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ თვალსაჩინო ბულგარელი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, მშრომელთა წარმომადგენლები.

კულტურისა და ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი რაიკოვმა გახსნა საბჭოთა წიგნის გამოფენა და განაცხადა, რომ მარტო 1963 წელს ბულგარეთში გავრცელდა ცამეტი ათასზე მეტი სახელწოდების საბჭოთა წიგნი,

უიმედო ომი

ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსევი იტყობინება: დღეს ამერიკის გაზეთების პირველ ფურცლებზე დაბეჭდილია საიგონში ამერიკის ელჩის ტელეორის მოღუშული სახე რეაქციული ბომბდამშენების „ბ-57“ ნარჩენების ფონზე. ამ ფოტოსურათმა დაჩრდილა წინასაარჩევნო მიმოხილვები და პროგნოზები. ფოტოსურათი გადაღებულია ამერიკის ბიენ-ხოის საავიაციო ბაზაზე, სადაც პირველ ნოემბერს დილით სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა გაანადგურეს და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით დაუხიანეს ამერიკის რეაქტიული ავიაციის თითქმის ნახევარი, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში იყო განლაგებული.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა, რომელმაც ისევე, როგორც გოლდუოტერმა ნაჩქარევად გამოიყენა ამერიკის შეერთებული შტატების ეს ახალი დამარცხება დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ წინასაარჩევნო კამპანიაში, დღეს აღნიშნა, რომ სამხედრო-საჰაერო ბაზის განადგურება „პირლ-ჰარბორის შემდეგ ყველაზე მძიმე სამხედრო კატასტროფაა“. „მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში უიმედო ხდება, — განაცხადა მან. — თუ ახლანდელი მთავრობა დარჩა, ერთ წელიწადში სამხრეთ ვიეტნამიდან გაგვყრიან“.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ საიგონის კორესპონდენტი აღნიშნავს, „ერთი წლის შემდეგ, რაც ნგო დინ დიემის რეჟიმი დაამხეს, ომმა კომუნისტ პარტიზანების წინააღმდეგ სავსებით უიმედო სტადიას მიაღწია“. „მდგომარეობა, — წერს კორესპონდენტი, — გაუარესდა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ღონისძიებანი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ შეეჩერებინათ კომუნისტური რევოლუციის წინსვლა“.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი წერს, რომ მხოლოდ მოგონებაღა დარჩა მდინარე მეკონგის დელტაში განლაგებული ეგრეთწოდებული „სტრატეგიული დასახლებებისაგან“, რომლებსაც ეყრდნობოდნენ ამერიკელ-სამხრეთვიეტნამელი დამსჯელები, და აღნიშნავს: „მილიონობით ამერიკული დოლარით აშენებული და განმტკიცებული სტრატეგიული დასახლებანი ამ იმედების ამაოების სიმბოლოა, თითქოს შეიძლება აიძულო ხალხი იბრძოლოს ისეთი მთავრობისათვის, რომელთანაც მას საერთო არა აქვს რა“. პრეზიდენტ ჯონსონის ბრძანების გამო — სასწრაფოდ გადაიყვანონ სამხრეთ ვიეტნამში ახალი თვითმფრინავები განადგურებული ბომბდამშენების „ბ-57“ ნაცვლად, პრესის ზოგიერთი ორგანო კითხულობს, რა მიზნით ჰყავს ამერიკის სარდლობას სამხრეთ ვიეტნამში თვითმფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ ზიდონ ატომური იარაღი. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ რეაქტიული ბომბდამშენები „ბ-57“, რომლებიც ბიენ-ხოიში გაანადგურეს, იქ ჩავიდნენ მას შემდეგ, რაც ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაბომბეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სანაპირო ობიექტები ტონკინის ყურეში და ამ ბაზაში იმყოფებოდნენ „გაუთვალისწინებელ გარემოებათა“ შემთხვევისათვის.

ამერიკის მილიტარისტული წრეებისაგან განსხვავებით, რომლებიც იყენებენ ბიენ-ხოის დამარცხებას, როგორც საბუთს სამხრეთ ვიეტნამის ომის გაფართოებისა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმის სასარგებლოდ, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას პრეზიდენტის არჩევისთანავე შეისწავლოს საკითხი, თუ როგორ შეიძლება მოეღოს ბოლო ომს სამხრეთ ვიეტნამში ამ ქვეყნის ნეიტრალიზაციის საფუძველზე.

ბავშვები მცველების მუდმივი თანხლებით

ერთი წლის წინათ დაიღუპა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კენედი. მისი მეუღლე საცხოვრებლად გადავიდა ნიუ-იორკში ორი ბავშვით, რომლებსაც მუდამ იცავენ ამერიკის უშიშროების სამსახურის აგენტები. სადაც არ უნდა იყონ ბავშვები, მათ თვალს არ აშორებენ საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები.

დიდი გამარჯვება

ბუენოს-აირესი, 31 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ისიდორო ჰილბერტი იტყობინება:

არგენტინის მშრომელებმა, მთელმა დემოკრატიულმა ძალებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს: ეროვნულმა კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება რეპრესიული კანონმდებლობის გაუქმების შესახებ. გუშინ, კონგრესის სესიის დამთავრებამდე, ოფიციალურად მიიღეს დეკრეტი, რომლითაც უქმდება კანონები და დეკრეტები, რომელთა შესაბამისად, კერძოდ, აკრძალულია არგენტინის კომუნისტური პარტიისა და ამ ქვეყნის სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების საქმიანობა. დეკრეტს ხელი უნდა მოაწეროს რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

მოსკოვი—თეირანი

დღეს მოსკოვიდან თეირანში ჩავიდა პირველი საბჭოთა თვითმფრინავი, „ილ-18“, რომელმაც გახსნა № 61 რეისი და დაამყარა პირდაპირი საავიაციო მიმოსვლა მოსკოვი-თეირანი. სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საერთაშორისო ხაზების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბესელიანმა მეჩრაბადის აეროდრომზე განაცხადა, რომ მოსკოვ-თეირანყარაჩ-კოლომბო-ჯაკარტის ხაზი ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ხაზია.

რკინიგზის კატასტროფა

ბერლინი, 2 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნის საააგენტო იუწყება, როსტოკის ოლქში მოხდა რკინიგზის კატასტროფა, რის შედეგად 39 კაცი დაიღუპა და ასზე მეტი დაშავდა.

დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად და საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად შეიქმნა მთავრობის კომისია.

ალჟირის რევოლუციის 10 წელი

ალჟირი, 2 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ე. პოპოვი იუწყება:

ალჟირმა ზეიმით აღნიშნა 10 წლისთავი რევოლუციისა, რომელმაც იგი 130 წლის კოლონიური მონობისაგან გაათავისუფლა. ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გუშინ გაიმართა შეიარაღებული ძალების პარადი და მოსახლეობის მრავალათასიანი დემონსტრაცია.

ალჟირელი ხალხის ისტორიის ამ ღირსშესანიშნავი თარიღის დღესასწაულში მონაწილეობისათვის აქ ჩამოვიდნენ 80-ზე მეტი ქვეყნის დელეგაციები, მათ შორის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მთავრობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი შ. რ. რაშიდოვი.

პარადის დაწყების წინ ჯარებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ჰუარი ბუმედიენმა. მან ხაზი გაუსვა იმ როლს, რომელსაც ეროვნული სახალხო არმია ასრულებს ალჟირელი ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა დაცვაში. შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ეროვნული გაერთიანების ფრონტის გენერალურმა მდივანმა ბენ ბელამ. იგი შეეხო ალჟირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს. ბენ ბელამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირის მთავრობა წარმატებით ახორციელებს სახალხო მართვის პოლიტიკას სოფლის მეურნეობის დარგში და ამ ღონისძიებამ უკვე მოიტანა ნაყოფი. ბენ ბელამ განაცხადა აგრეთვე, რომ ეროვნული კრება შეისწავლის ავტარული რეფორმის კანონპროექტს, რომელიც მიღებულ იქნება გაიად „რათა უზრუნველყოთ სოციალური სამართლიანობა ხალხისათვის“. დასასრულ პრეზიდენტმა ბენ ბელამ დაგმო რეაქციისა და კონტრრევოლუციონერთა საქმიანობა, „რომლებიც ცდილობენ ააცდინონ რევოლუცია არჩეულ გზას“, და განაცხადა, რომ მათ არ დაინდობს ალჟირის მშრომელი ხალხი.

სტიქიური უბედურება ტუნისში

ტუნისი, 2 ნოემბერი. (საკდესი). უკანასკნელ სამ დღეს ტუნისის მთელ ტერიტორიაზე იყო კოკისპირული წვიმები და ძლიერი ქარქა-ქუხილი. წვიმამ წალეკა რკინიგზები და გზატკეცილები, დატბორა ბევრი ქალაქის ქუჩები, მათ შორის ტუნისის ფოდქალაქის რამდენიმე ქუჩა.

ადიდებულმა წყალმა წალეკა ხიდები, დატბორა ბევრი საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულები. განსაკუთრებით დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა წვიმამ ტუნისის ჩრდილოეთ რაიონებს.

არის ადამიანის მსხვერპლი. წინასწარი მონაცემებით, სტიქიური უბედურების შედეგად ტუნისში დაიღუპა 28 კაცი, რამდენიმე უგზოუკვლოდ დაიკარგა;

დაზარალებულთათვის პირველი დახმარების გასაწევად სტიქიური უბედურების რაიონში გაგზავნეს ეროვნული გვარდიის რაზმები და მაშველი რაზმები.

გრიგალი სიცილიაში

პარიზი, 2 ნოემბერი, (საკდესი). 6 კაცი დაიღუპა და დაახლოებით 500 კაცი დაშავდა იმ გრიგალის შედეგად, რომელიც გასული კვირის დამლევს დაატყდა თავს სიცილიის კუნძულს. ეს მონაცემები, როგორც ფრანს პრესის საააგენტო იუწყება, გამოქვეყნდა დღეს ქალაქ პალერმოში.

ყველაზე მეტად დაზარალდა კატანიისა და რაგუზას ტაროვინციები. ამ პროვინციების ასობით მცხოვრები დარჩა უსახლკაროდ. გრიგალით გამოწვეული ზარალი 50 მილიარდ ლირას უდრის.

გრიგალმა დიდი ნგრევა გამოიწვია ქალაქ კატანიის სამხედრო აეროდრომზე: დაზიანებულია 16 ვერტმფრინავი, 8 თვითმფრინავი და ანგარები.

სერიოზული ზიანი მოუვიდა ციტრუსების მოსავალს. ზოგიერთ ადგილას ნიადაგი დაფარულია სეტყვით, რომლის ფენა 0,5 მეტრს აღწევს.

ვიზიტი დამთავრდა

ლუსაკა, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ახალი ზამბიის დედაქალაქში რამდენიმე დღეს იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელიც აქ ჩამოვიდა აფრიკის ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებულ ზეიმზე. დელეგაციის წევრები დაესწრნენ ზამბიის რესპუბლიკის გამოცხადების ცერემონიას, შეხვდნენ ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებს.

აქ გამართული მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება, რომ დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდეს საბჭოთა კავშირსა და ზამბიის რესპუბლიკას შორის. ზამბიის რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ ეს აქტი ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეს.

წარმატებითი თანამშრომლობა

ბელგრადი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ბელგრადში ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეთორმეტე სხდომის შესახებ.

ოქმი ითვალისწინებს თანამშრომლობას წარმოების ბევრ დარგში, და განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში, ქიმიურ, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, შავ და ფერად მეტალურგიაში, ტრანსპორტში, მწყნებლობასა და სოფლის მეურნეობაში. ოქმის შესაბამისად მოეწყობა ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლა და საწარმო გამოცდილების გაზიარება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ორივე ქვეყნის თანამშრომლობას როგორც მოცულობით, ისე შინაარსით დიდი წარმატება ჰქონდა. განხილულია აგრეთვე ახალი ფორმები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

კომისიის საბჭოთა ნაწილის წევრებმა დაათვალიერეს სერბიის, ხორვატიისა და სლოვენიის მთელი რიგი სამეურნეო ორგანიზაციები და საწარმოები, გაეცნენ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებსა და საწარმოო გამოცდილებას.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ ზიარწოდა

პარიზი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ მოისმინა და მოიწონა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ანგარიში საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციების მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ამას წინათ გაიმართა მოსკოვში.

პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება 6 ნოემბერს მოიწვიოს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგი ასეთი იქნება: 1. ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან მოლაპარაკების შესახებ, მომხსენებელი ე. მარში. 2. ინფორმაცია მუნიციპალური არჩევნებისათვის მზადების შესახებ, მომხსენებელი ჟ. ლორანი.



ზესანიშნავი ობელისკი ამშვენებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ზღვისპირა ქალაქის პორტ-საიდის მთავარ მოედანს, რომელსაც თავისუფლების მოედანი ეწოდება. ფოტო ი. შენგელიასი.

ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების წინ

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. (საკდესი). დემოკრატიული პარტიის მიტინგზე, რომელიც ნიუ-იორკში გაიმართა, უკანასკნელი წინასაარჩევნო სიტყვა წარმოთქვა გუშინ პრეზიდენტმა ჯონსონმა. მან ეს გამოსვლა მიუძღვნა ძირითადად თავისი მეტოქის სენატორ გოლდუოტერის პროგრამის კრიტიკას.

ჯონსონმა პირობა დადო, თუ პრეზიდენტად ამირჩიეს, ამერიკას „დიად საზოგადოებად“ გადაქცევენ, ამასთან ჯონსონმა, აღიარა, რომ ახლა ამერიკის წინაშე დასმულია ძნელი ამოცანები; უნდა უზრუნველყოთ ამერიკელი მოქალაქენი სამუშაოთი, ყველას თანაბარი შესაძლებლობა მივცეთ საჭირო განათლების მისაღებად და გადავჭრათ რასობრივი პრობლემა.

შემოიღეს სამხედრო წესები

ჰავანა, 31 ოქტომბერი. (საკდესი). მექსიკის ქალაქ პუებლაში შემოიღეს სამხედრო წესები, როგორც პრესსა ლატინას საააგენტოს კორესპონდენტი მეხიკოდან იტყობინება, საღამოს 6 საათსა და 30 წუთის შემდეგ ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი, ხოლო ქალაქის მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ შეიარაღებულ ჯგუფ-ჯგუფად.

სამხედრო წესები გამოცხადდა პოლიციისა და სტუდენტების რამდენიმე შეტაკების შემდეგ. გუშინ პოლიცია თავს დაესხა სტუდენტთა დემონსტრაციას, რომლის მოსაწილენი მოითხოვდნენ შტატის გუბერნატორის გადაყენებას. შეტაკების დროს რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ბაღდადი

◆ რესტორანიდან გამოსულმა კაცმა გასახდელში პალტო რომ ჩაიცვა, მასთან მეორე კლიენტი მივიდა და თავაზიანად კითხა:

— უკაცრავად, თქვენ მისტერ სმიტი ხომ არა ხართ ტეხასიდან?

— არა. თქვენ სცდებით.

— მაშინ მომიტევეთო, ჩემო ბატონო, საქმე ის არის, რომ თქვენ მისტერ სმიტის პალტოს იცვამთ, ხოლო სმიტი მე ვარ.

◆ ანა-მარია, ცხრა საათისათვის შინ იყავი, გესმის? — გაიფრთხილა დედამ სასეირნოდ მიმავალი ქალიშვილი.

— მე ხომ პატარა ალარა ვარ! — იწყინა ქალიშვილმა.

— დიახაც იმიტომ, რომ პატარა ალარა ხარ. — მიუგო დედამ.

◆ — რატომ დაიგვიანე გაკვეთილზე? — ჰკითხა მოწაფეს მასწავლებელმა.

— დღეს სათევზაოდ მინდოდა წასვლა, მაგრამ მამამ არ გამიშვა.

— სასიამოვნოა, რომ ასეთი შეგნებული მამა გყავს. ალბათ განგიმარტა კიდეც, თუ რატომ უნდა წამოსულიყავი სკოლაში და არა სათევზაოდ.

— როგორ არა, მითხრა, — ჰიები ცოტაა და ორივეს არ გვეყოფაო.

◆ ორთქლმავალი ძროხას დატაკებოდა, და ეს საქმე სასამართლოში ირჩეოდა. ფერმერის ვეკილმა, რომელიც ზარალის ანაზღაურებას მოითხოვდა, ზედმეტი და გაუთავებელი შეკითხვებით მემანქანეს თავი მოაბეზრა. და როდესაც ვექილი მეათედ შეეკითხა: ადასტურებთ თუ არა, რომ ძროხა ნამდვილად რკინიგზის ლიანდაგზე იყო, მოთმინებიდან გამოსულმა მემანქანემ მიუგო:

— არავითარ შემთხვევაში, ჩემო ბატონო, ძროხა ლიანდაგიდან ერთი კილომეტრის მოშორებით მინდორში ბალახს სძოვდა. როგორც კი ორთქლმავალმა მას თვალი მოჰკრა, ლიანდაგს მოსწყდა, ღობეს გადაეკლო, მინდორში გაიჭრა და ძროხას დაედევნა, ძროხა ხეზე ავარდა, თვითონაც უკან მიჰყვა, და როდესაც სულ მაღლა, კენწეროზე მოექცნენ, ეს სწორედ იქ გაჭყლიტა.

◆ სამშობიარო სახლიდან დარეკეს.

— შეაყოვნინეთ, გეთაყვა, ბატონ გრინვალს, რომ სამი შვილი შეეძინა.

— შეტყვი, მაგრამ ჯერ ვერა, ქალბატონო, სამართებლით პირს იპარსავს, — მიუგო მეზობელმა.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა.

კომუნისტი
მე-8 გვერდი, სამშაბათი,
8 ნოემბერი, 1964 წ.

ბაღდადი

ბაღდადი

ბაღდადი

ქარიშხალთან ბრძოლაში



სუეცის არხის შესასვლელთან რეიდზე მდგომი უამრავი გემი გასასვლელ რიგს ელოდებოდა. მათ რიცხვში რამდენიმე საბჭოთა გემიც იდგა. აქ იყო საქართველოს საოკეანო სამმართველოს გემების პირმშო — ტრაულერი „შოთა რუსთაველი“. იგი მეორედ ჩამოვიდა და ორივეჯერ დიდძალი თევზი ჩააბარა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას.

ვის არ ნახავდით გემბანზე. სტუმრად მოვიდნენ უბრალო არაბი მუშები, რომლებიც გადმოტვერთვისას ჩვენთან მუშაობდნენ, ფირმის წარმომადგენლები, რესპუბლიკის პარლამენტის წევრები. აქვე იყვნენ საბჭოთა სპეციალისტები, სუეცის არხის გაწმენდელი საბჭოთა ლოცმანები, კაიროდან სპეციალურად ჩამოსული საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები, საბჭოთა პრესისა და რადიოს კორესპონდენტები, ჩვენი ძველი მეგობარი, საბჭოთა კავშირის კონსული არაბეთში ალექსანდრე პოსტნიკოვი, რომელსაც ხშირად მოჰქონდა ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი რამ — წერილები.

კაპიტან-დირექტორი გიორგი სვანიძე გასულის ბრძანებას იძლევა. გუუუნებს გამოსამშვიდობებელი საყვირი, ვტოვებთ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას. სამუდამოდ გვემახსოვრება აქ გატარებული დღეები, გვემახსოვრება კაირო უძველესი კულტურის საამაყო ძეგლებით.

რეიდზე მდგომი საბჭოთა გემები ალამთა წვებას ადამართავენ. ეს ნიშნავს „გზა მშვიდობისა, ბედნიერ ცურვას გისურვებთ“! შტურმანი ნარგიზ თავაძე გემბანის მთავარ ანძაზე ადამართავს ალისფერი დრაშებით დაწერილ ნიშანს „მადლობელი ვართ“. წელს მეხუთეჯერ გადიოდა „შოთა რუსთაველი“ წითელი ზღვის დასასრულს ბაბელ-მანდების სრუტეს. მასზე გადის ერთ-ერთი უძნელესი ტრასა ნოსნობაში. იგი ისევე ნაცნობი იყო ჩვენთვის, როგორც შობიღური შავი ზღვა. ექსპერიმენტალური რეწვა არაბეთის ზღვის ნაპირებთან უკვე დამთავრებული იყო. შესწავლილ იქნა რეწვის ახალი მდიდარი რაიონი. ახალი დავალება ითვალისწინებდა რეიისის დამთავრების შემდეგ შემოგვეევლო აფრიკის კონტინენტი მადაგასკარის და იმედის კონცხის გავლით და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ნაპირებთან გვეწარმოებინა თევზის რეწვა.

2.100 ტონა თევზი სამშობლოს — ასეთი იყო ეკიპაჟის მიერ ნაკისრი ვალდებულება. ვტოვებდით სომალის ნაპირებს, კონცხ გვარდაფუიდან კი ინდოეთის ოკეანე იწყებოდა. 13 აგვისტოს ღამე იყო. კონცხის მისასვლელთან ქარი თანდათანობით ძლიერდებოდა. კაპიტანი გიორგი სვანიძე ბოგას არ შორდებოდა, ალღოთი ხვდებოდა, რომ რაღაც ხიფათი გველოდა. გაიცა ბრძანება — „დაამაგრეთ ყველაფერი შტორმის შესახვედრად“. ზოგიერთებისათვის ეს ბრძანება მოულოდნელი იყო, კაპიტან-დირექტორი კი, როგორც ყოველთვის, დინჯად და დაფიქრებულად გასცქერიდა სივრცეს, პირველად როდი ხვდებოდა ოკეანეს. მან ხომ მრავალი წელი გაატარა სუსხიან ანტარქტიკაში სახელოვან ფლოტილია „სლავას“ ერთ-ერთი ვეშაპმჭერი გემის კაპიტნად. ვინ იცის რამდენ ქარიშხალს გადაუვლია მის თავზე. ახლა იგი კარგად ხვდებოდა, თუ რას ნიშნავდა კონცხის მიღმა გაძლიერებული ქარი. გიორგი პირველად უნდა შეხვედროდა „რუსთაველისა“ და ოკეანის ქარიშხლის ორთაბრძოლას.

შუაღამე იწყებოდა, კონცხს რომ გავშორდით. ინდოეთის ოკეანისაგან ასეთ მასპინძლობას არ ველოდით. ზღვაზე ქარიშხალი ბობოქრობდა. არ ეძინა გემის ბოცმან ემელიანე კეშელავასაც, ზღვის მგელს რომ ეძახიან ბიჭები ზედმეტ სახელად. ძველ, გამოცდილ მეზღვაურს ახლაც საიმედოდ დაუმაგრებია ყველაფერი.

ტალღების სიდიდე თანდათანობით მატულობდა, ქარის სიჩქარე კი წამში 29 მეტრს აღწევდა. „რუსთაველი“ ხან ტალღების თავზე მოექცეოდა, ხან კი თითქოს უფსკრულისაკენ მიდისო, მაგრამ ყოველთვის უვნებელი გამოდიოდა.

ღამით გიორგი არ მოშორებია მეორე შტურმანს ანზორ გოგიტაურს. იგი ხშირად იტყოდა ახალგაზრდა ბიჭებზე: „ისე კარგად შეიტანეთ ეს საქმე, რომ ნამდვილად ჩვენი სამმართველოს მომავალი კაპიტნები არიან“.

იმ ქარიშხლიანი ღამით გიორგი ბოგას როგორ დატოვებდა, — ისევ დაიწყო მისი უძილო ღამეები, როგორც ეს კაპიტნებს სწვევიათ. დილით გოგიტაურს უფროსი შტურმანი შაბური გუნია ცვლის, საჭესთან კი გამოცდილი მეზღვაური ვაჟა მზარეული დგება. ტალღების სიდიდე უფრო მატულობს. უკანა ბაქანზე ტექნოლოგი ოთარ ნადარეიშვილი და ოსტატები ვახტანგ ჩხაიძე, ვალერი აკუბარდია, ვალერი დონდუა და ივანე ჩუკუნოვი საიმედოდ ამაგრებენ სარეწაო ინვენტარს, რომ ტალღამ არ გადარეცხოს. დანარჩენთათვის კი ბრძანებაა გაცემული — გემბანზე გამოსვლა სასტიკად აკრძალულია ქარიშხლის გამო. მხოლოდ გემის ექიმი ივანე ავაზაშვილი დადის კიაუტიდან კიაუტაში, ამოწმებს ეკიპაჟის წევრებს, თუ ვინ დაავადდა ზღვის ავადმყოფობით. მაგრამ ეს ჩამოვლა ამჯერად ყველგან უშედეგო იყო, რამდენადაც ეკიპაჟი თავს კარგად გრძნობდა.

რადიომიმღებ აპარატურასთან მოუშორებლივ სხედან ანატოლი პოპოვი და ნიკოლოზ დეისაძე, სამშობლოსთან განუწყვეტელი კავშირი აქვთ და ქ. კეიტტაუნიდან პერიოდულად იღებენ ამინდის ახალ-ახალ პროგნოზებს. გადის 4 საათი, ქარის სიჩქარე წამში 32 მეტრს აღწევს. ვახტანგ შტურმანი გურამ ციცკარაკა დგება. გურამმა თავი გამოიჩინა როგორც მდებარეობის საუკეთესო გამომთვლელმა გაშლილ ზღვაში. მას ამოცანების ამოხსნის ოსტატს ეძახიან. ამიტომაც არის, რომ მისი სურათი ღირსეულთა საპატიო დაფას ამშვენებს.

არ ვიცოდით, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ქარიშხალი. მთავარი იყო მანქანების კარგად მუშაობა, რომ გადაელახათ ტალღები და ქარის ძალა, თორემ საფრთხე გარდუვალი იყო. გიორგი ხშირად რეკავს სამანქანო განყოფილებაში. პასუხი ერთია: ყველაფერი რიგზეა, მანქანები სრული დატვირთვით მუშაობენ. მექანიკოსები საპანაძე, ცქიტაშვილი და აბსაძე მოუშორებლივ არიან მანქანებთან, მოტორისტებთან ერთად. აი ძლიერმა ტალღამ გემის ცხვირი ზევით აატყორცნა, ხოლო კიჩო და შემდეგ ცხვირიც მთლიანად ჩაეფლო წყალში, ტალღების გორა ზედიზედ გადადის გემზე. რამდენიმე წამში წონასწორობა აღდგენილ იქნა. გიორგის სახეზე პირველი ღიმილი დავინახე, რაც სახიფათოდ აზვირთებულ ტალღებთან ბრძოლაში პირველ გამარჯვებას ნიშნავდა.

სტიქიასთან შებმული მეზღვაურების ამ შეუპოვარ ბრძოლას მალე ალბათ სურათით ნახავენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის დაკვეთით ჩვენი ეკიპაჟის წევრები ფირად ფირზე იღებენ „რუსთაველის“ საინტერესო რეისს აფრიკის გარშემო. ფილმის რეჟისორია რეზო ჯიბლაძე, ოპერატორი—იოსებ შენგელია.

ისევ წამოვიდა ტალღების უზარმაზარი გორა, შადრევნების სვეტები აღიმართა, ისეთი ძალით დაგვარტყა ტალღამ, რომ გემგორნა მინებს ჩაგვილეწდა. გემი საშინლად დგანდგარებდა დარტყმებისგან. ახლა უკვე სერიოზულად შეგვშინდა, ანძაზე მყოფ ბიჭებს რომ არაფერი დამართოდათ. ანძიდან კი მათი აღტაცებული ყიჟინა შემოგვესმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბრწყინვალედ გადაეღოთ ყოველივე ეს. — საკმარისია, რაც გადალიეთ, — ხშირად იმეორებდა გიორგი და შმობლიურ თბილ მზერას არ აშორებდა ანძაზე მოქანავე ბიჭებს მანამდე, სანამ ისინი საშშვიდობოზე არ ჩამოვიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ „რუსთაველი“ ისევ ტალღებს ზემოთ ქანაობდა და ამაყად მიიწევდა წინ. ტალღებს ნაკუწებად ექცევათ მაშველი ნავების საფრენი, ახლა აღარავის არ ეშინოდა ეჭვი გემის საბოლოო გამარჯვებაში სტიქიასთან.

ოთხი დღე ვებრძოდით ქარიშხალს, და შემდეგ თითქოს დაწყნარდა ოკეანე უკვე კეთილოვდებოდით ეკვატორს, რომლის გადალახვა ეკიპაჟმა ტრადიციული ნეპტუნის დღესასწაულით აღნიშნა. ყველა წევრმა დამსახურებულად მიიღო ტრადიციული დიპლომი „ამიერიდან უმშიარ ზღვა ოსანს, რომ მან 1964 წლის აგვისტოს 17-ს გადალახა ეკვატორი“, რასაც ხელს აწერდა ზღვებისა და ოკეანეების ღმერთი ნეპტუნი, რომლის როლს ჩვენი ეკიპაჟის უხუცესი წევრი ემელიანე კეშელავა ასრულებდა.

შედარებით ადვილად განვვლეთ მოზამბიკის სრუტე და ისევ გაშლილ ოკეანეში გავეფითი. აქ კი ანტარქტიკიდან მოდენილ ქარიშხალს წავაწყდით. ისევ ბრძოლა სტიქიასთან, მაგრამ ახლა ეს ჩვეული ამბავი იყო.

ბურუსში ჩაწოლილი მოჩანს ნემსა კონცხი. აქ ვემშვიდობებით ინდოეთის ოკეანეს, მაგრამ არც აბლანტიკა გვხვდება დემილით. მისი მასპინძლობა ისევ მძვინვარე ქარიშხლით დაიწყო.

კეთილი იმედის კონცხის გავლით დამთავრდა აფრიკის შემოვლა აღმოსავლეთიდან. მივდიოვართ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ნაპირებისაკენ. ზღვაზე ქარიშხალი თითქოს დაცხრა, მაგრამ ღელვა არ დაწყნარებულა. „რუსთაველი“ ისევ ამაყად მიაპობს მძლავრ ტალღებს.

დასასრულ, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს მინდა გადავცე ჩვენი ეკიპაჟის ყველა წევრისაგან საუკეთესო სურვილები, მინდა გადავცე რწმენა, რომ სამშობლოს დავალებას თვითეული პირნათლად შასრულებს...

სალამი დედა-სამშობლოს... მალე შეხვედრამდე, მეგობრებო!...

ა. ანთაძე,
კაპიტან-დირექტორის პირველი თანაშემწე.

სურათებზე: (ზემოთ) საოკეანო ტრაულერი „შოთა რუსთაველი“ ქ. სუეცის სანაპიროზე, (მარცხნივ) მეზღვაურებს გემბანზე აიკვეთ 15-ტონიანი თევზსატვირთი ბადე.

ფოტო ი. შენგელიაზი.

ი. ს. მონცელიძე



ეროვნული ბანკის ყოფილი გამგეობის თავმჯდომარე, ცნობილი სპეციალისტი, სამთო ინჟინერ - გეოლოგი, საქართველოს სსრ - დამსახურებული ინჟინერი, სკკპ წევრი 1946 წლიდან **იოსებ (ოსიკო) სამსონის-ძე მონცელიძე.** იგი დაიბადა 1908 წელს თბილისში. მან 1922 წელს დაამთავრა თბილისის მეორე შრომის სკოლა, შემდეგ თბილისის ქიმიური ტექნიკუმი, ხოლო 1932 წელს (წარჩინებით) ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი გეოლოგიურ-საძიებო სპეციალობით.

ი. მონცელიძე 1929 წლიდან მუშაობდა სამთამადნო მრეწველობაში: 1938-1940 წლებში ლოპოტის მარმარილოს მაღაროების ტექნიკურ ხელმძღვანელად, 1944 წლამდე კომბინატ „საქმარმარილოს“ მთავარ ინჟინრად, შემდეგ კი, 1952 წლამდე ამავე კომბინატის დირექტორად.

1952 წლიდან ი. მონცელიძე, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, სამთამადნო მრეწველობის ტრუსტ „საქმთამადნეულის“ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე იყო.

35 წლის მანძილზე ი. მონცელიძე ეწეოდა ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავების დარგში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მშენებლობაში ქართული მარმარილოებისა და გრანიტების გამოყენებისა და მათ საერთაშორისო ბაზარზე გატანის საქმეში. მონცელიძე მუდამ ახლის, პროგრესულის ძიებაში იყო. იგი ავტორია მრავალი რაციონალიზატორული წინადადებისა, რომელთა დანერგვის შედეგად სამთო სამუშაოების წარმოებაში მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდა და მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი.

ამბ. ი. მონცელიძე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო მედლებითა და სიგელებით.

სამთო-საინჟინრო საქმიანობასთან ერთად იოსებ სამსონის-ძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას.

ნიჭიერი, შესანიშნავი სპეციალისტის, გულისხმიერი ამხანაგის იოსებ სამსონის-ძე მონცელიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება რესპუბლიკის სამთო მრეწველობის მუშაკთა გულში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო,
სამთამადნო მრეწველობის ტრუსტი,
სამთო-სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოება.

...

ოთხი წლის წინათ, 1960 წლის შემოგვიმაზე საქართველოში სტუმრად იყო ამერიკის თეატრის გამოჩენილი მოღვაწე, ნიუ-იორკის ერთადერთი მუდმივი თეატრის „ფენქსის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ნორის ჰოუტონი. ჰოუტონი მსოფლიო თეატრალური ხელოვნების საუკეთესო მცოდნეა, ხოლო მისმა დინტერესებმა ქართული ხელოვნებით, კერძოდ, რუსთაველის თეატრით, ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა. მაშინ ქართველ კოლეგებთან საუბარში მან თქვა:

— მეორედ ვარ საქართველოში. პირველად 25 წლის წინათ ვიყავი, როცა ჩემი შემოქმედებითი კარიერის დასაწყისში გადავწყვიტე მომეარა ევროპა, შემესწავლა ცივილიზებული ქვეყნების თეატრალური ხელოვნება. მოსკოვში ყოფნისას იმდენი რამ მითხრეს ახმეტელზე, რომ სპეციალურად ჩამოვედი მისი თეატრისა და სპექტაკლების სანახავად. არასოდეს არ დამავიწყდება, რაოდენი გზნებითა და პოეზიით იყო გაღელვინილი მისი დადგმები, განსაკუთრებით „ყარაღლები“. ამ დიდებული სპექტაკლის სურათები დღესაც ამშვენებს ჩემს ბიბლიოთეკას...

ჩვენმა ახალმა თაობამ მხოლოდ ხალხში მოარული, ნახევრად ლეგენდარული თქმებითა და ამბებით თუ იცოდა ზოგი რამ ქართული ეროვნული კულტურის ამ უბრწყინვალესი მოღვაწის შესახებ. დღეს კი ჩვენი თეატრის ყოველი გულშემატკივრის მაგიდას დაამშვენებს ეს პატარა მცირეფორმატიანი წიგნი **„სანდრო ახმეტელი“**, რომელიც „ნაკადულმა“ გამოსცა.

მისმა ავტორმა, თეატრმცოდნემ **ვასილ კიკნაძემ** მეტად კეთილშობილურ საქმეს მოჰკიდა ხელი, რადგან მართლაც და იშვიათია მეორე ხელოვანი, რომელიც ამდენ კამათსა და აზრთა სხვაობას იწვევდეს, ისიც 30 წლის მრავალსმთქმელი სიჩუმის შემდეგ.

ვ. კიკნაძის წიგნი „სანდრო ახმეტელი“ პირველი მონოგრაფიული ნარკვევია დიდ ქართველ რეჟისორზე, მაგრამ თავისი „პირველი მერცხლობით“ სულაც არ ითხოვს რაიმე კომპენსაციას. ამ წიგნის ღირსებაა უპირველეს ყოვლისა არა მარტო ის, რომ ავტორი პროფესიულ ანალიზს უკეთებს ახმეტელის ცნობილ სპექტაკლებს („ოლეგეა“, „ანზორი“, „ლამარა“, „თეთნულდი“, „ყარაღლები“), არამედ ისიც, რომ ცალკე გამოყოფს რამდენიმე კონკრეტულ თეორიულ საკითხს ახმეტელის შემოქმედებითი მეკავშირეობიდან, კერძოდ, მისი თეატრალური ესთეტიკიდან, ამავე დროს გვიჩვენებს ამ დიდი გაქანების მქონე რეჟისორის შემოქმედებით პრაქტიკას, გვაცნობს მრავალ, საზოგადოებას ფართო წრეებისათვის დღემდე უცნობ საარქივო მასალას და მსოფლიო კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა აზრებს დიდ ხელოვანზე.

არ შეიძლება სიამაყის კანონიერი ტომაც სამართლიანად გვენიშნა ავტორის მოკრძალებული შენიშვნა, როცა იგი ერთგან ბოდიშს იხდის მკითხველს წინაშე, ამჯერად საშუალება არა გვაქვს უფრო ვრცლად ვიმსჯელოთო. მართლაც, ვ. კიკნაძის „სანდრო ახმეტელ“ სულაც არა აქვს პრეტენზია, რომ სრულყოფილი მონოგრაფიაა დიდ ქართველ რეჟისორზე. იგი მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობისა, რომელიც ჩვენი დროის გამოჩენილმა კომპოზიტორმა დ. შოსტაკოვიჩმა საბჭოთა თეატრმცოდნეების წმიდა მოვალეობად მიიჩნია. „საბჭოთა თეატრალური მუშაკების წმიდა მოვალეობაა, — წერდა დ. შოსტაკოვიჩი, — აღადგინონ ა. ვ. ახმეტელის უდიდესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა და გაზადონ ის ხალხის კუთვნილებად“.

გ. დოლიძე.

...

ასეული წლების მანძილზე ეკიმები ცდილობდნენ ტანჯვა შეგვმსუბუქებინათ იმ ადამიანებისაოვის, რომლებსაც ხერხემალი დაავადებული აქვთ. ძირითადად მიმართავდნენ მკურნალობის კონსერვატიულ მეთოდებს: ხანგრძლივ მრავალწლიან სიმშვიდეს,* თაბაშირის კორსეტებს. ხერხემლის გაჯიმვას. ოპერატიული ჩარევის ცდები ჩვეულებრივ მოავრდებოდა ავადმყოფის სიკვდილით.

XX საუკუნის დასაწყისში გაკეთდა პირველი ჩარმატებითი ოპერაციები ხერხემლის უკანა, ყველაზე მისაწვდომ ნაწილებზე. ნინა ნაწილები — მალების სხეულები და მალებშუა დისკოები — ღრმად არის განლაგებული. ზედ ეკვრის უდიდეს სისხლძარღვებს და სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვა ორგანოებს. ისინი დიდხანს მიუწვდომელი რჩებოდნენ ქირურგისათვის.

ნოვოსიბირსკის ორთოპედიის ინსტიტუტში უკანასკ-

სიახლე ქირურგიაში

პროფესორი იაკობ ციბიანი,
ნოვოსიბირსკის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ნელი წლების განმავლობაში ხერხემალზე გაკეთდა 700-მდე ოპერაცია, შემუშავებულია ხერხემლის დაზიანებათა, დაავადებათა და დეფორმაციათა ოპერატიული მკურნალობის საშუალებანი.

ყველაზე ხშირია წელისა და მკერდის მალების სხეულთა გადატეხილობანი. ამ გადატეხილობებს მკურნალობდნენ ხანგრძლივი უმოძრაობით, რის შედეგად ავადმყოფს უნდა ეტარებინა ჯერ თაბაშირის, ხოლო მერმე ტყავის კორსეტი. მკურნალობის ასეთი მეთოდების დროს ინვალიდობა ოცდაათ ოთხმოც პროცენტს შეადგენს.

ჩვენი მეთოდიკა მნიშვნელოვნად ამცირებს საავადმყოფოში იმ ავადმყოფთა ყოფნის ვადებს, რომელთაც ხერხემალი აქვთ დაზიანებული. დაზიანებულ მალას მეზობელ მალებთან მიამაგრებენ ხოლმე ლითონის ფიქსატორით — „მოსაჭიმით“. დაზიანების ადგილას იქმნება ამბოლუტური სიმშვიდე რაც ხელს უწყობს გადატეხილის გაჯანმრთელებას. ეს შესაძლებელს ხდის ავადმყოფის გამოჯანმრთელებას არა სამ-ოთხ თვეში, არამედ ორ კვირაში. მეორე თვის დამლევისათვის მას უკვე შეუძლია შეუდგეს მუშაობას, რომელიც მძიმე ფიზიკურ შრომასთან არ იქნება დაკავშირებული.

ხერხემლის უფრო მძიმე დაზიანებაა წელისა და კისრის მალების მსხვრეული მოტეხილობანი. მკურნალობის არსებული მეთოდები აბსოლუტურ უძრაობას მოითხოვს. ავადმყოფები იძულებული არიან თაბაშირის მძიმე კორსეტებში იყონ ექვსი-თორმეტი თვის განმავლობაში. ხშირად ხდება, რომ გადატეხილი მალა არ ხორცდება, ვითარდება სხვა დასხვა მძიმე გართულებანი: ასეთ გადატეხილობას ჩვენ ოპერატიულად ვმკურნალობთ: ვაშორებთ დამსხვრეულ მალას მომიჯნავე გაწუვეტილ მალებშუა დისკოებთან ერთად, წარმოქმნილ დეფექტს ვავსებთ კონსერვირებული ან ავადმყოფის ფისაგან აღებული ძვლით. ასეთი წესი ქმნის პირობებს გადატეხილობის სწრაფი შეხორცებისათვის, თავიდან აშორებს ხერხემლის გამრუდებას და შესაძლო გართულებებს.

მეტი წილი რადიკულიტების მიზეზია მალების სხეულებს შორის არსებული მალებშუა დისკოების დაზიანება, ასაკობრივი ცვლილებანი. რადიკულიტით დაავადებულ ყველა ავადმყოფთა დაახლოებით ათ პროცენტს სჭირდება ოპერატიული მკურნალობა: ამოვარდნილი დისკოს ნაწილის მოშორება. მაგრამ ეს მეთოდი არ გამორიცხავს განმეორებითს შეტევებს. ჩვენ დაავადებულ დისკოებს მთლიანად ვაშორებთ და ვცვლით მათ ძვლის ჩანერგვით. ეს მეთოდი გამორიცხავს რეციდივებს და უბრუნებს დაავადებულს დაკარგულ შრომისუნარიანობას.

ჩვენს ინსტიტუტში შემუშავებულია კუზის ქირურგიული გასწორების მეთოდები. უკანასკნელ წლებამდე კუზის მკურნალობას წარმატება არ ჰქონია. უკეთეს შემთხვევაში ხერხდებოდა კუზის განვითარების შეჩერება. ჩვენ ვისწავლეთ კუზის გასწორება ხერხემლის რთული ოპერაციების გზით.

დიდი რეჟისორი და მოჭალაქე

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვ. კიკნაძე. — „სანდრო ახმეტელი“ (მონოგრაფია). გამომცემლობა „ნაკადული“, 1964 წ.

...

ბაისულ კვირაველია და გუშინ გამართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების ფინალური ტურნირის მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„ყარაბატი“ (ლვოვი) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) 1:0, სკა (ოდესა) — „დაუგავა“ (რიგა) 1:2, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 0:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 2:0.

...

...

...

...

##